ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 17-46

თბილისი

30 მაისი 2017 წელი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და “გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, (შემდგომში “შემსყიდველი”), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის გიორგი მიშელაძის სახით, და, მეორეს მხრივ, შპს ,,ორიენტ ლოჯიკი”, (შემგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის ალან სანაკოევის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და “გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ 10 ცალი უწყვეტი დენის წყაროს აკუმულატორის (UPS) (CPV: 31400000) შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

3.2. ერთი ერთეული უწყვეტი დენის წყაროს აკუმულატორის ფასი შეადგენს 190 ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 1900 (ათას ცხრაასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. საქონელი მიწოდებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

5.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია საქონლის ხარისხსა და დროულობაზე.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, აუნაზღაუროს მას მიწოდებული საქონლის ღირებულება.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ შესაბამისი "მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირად განსაზღვრულია სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი ვასილ ბიბილური.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი ვასილ ბიბილური.

8. მოწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტი არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება ხარისხიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2. ანგარიშსწორება განხორციელდება პერიოდულად, მიწოდებული საქონლის შესაბამისად, მხარეთა შორის შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

9.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი

გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ასეთი გარემოებების დადგომისა და მათი ხანგრძლივობის ფაქტი დამოწმებულ უნდა იქნეს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების, ანდა ორგანიზაციების მიერ გაცემული დოკუმენტებით.

12.4. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა - შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადგადაცილებულ დღეზე.

13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 5 დღით ადრე.

14.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) თუ მიმწოდებლის მხრიდან ადგილი ექნება მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

15.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. სხვა პირობები

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო
იურ.მის: თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი #6
ფაქტ.მის: თბილისი, ვაზისუბნის ქ.N25
ს/კ 205306293

სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა: GE24NB0330100200165022

მიმწოდებელი

შპს „ორიენტ ლოჯიკი“
იურ.მის: თბილისი, აღმაშენებლის გამზ.N91ა
ფაქტ.მის: თბილისი, ბელიაშვილის 8
ს/კ: 202 052 054

ს.ს. „ბაზის ბანკი“
ბანკის კოდი: CBASGE22
ა/ა: GE96BS0000000005936872

გიორგი მიშელაძე
თავმჯდომარე

ალან სანაკოევი
კომერციული დირექტორი

Orient Logic

T: +995 32 254 18 18 Visit us at www.ol.ge or 8 Beliashvili Str, Tbilisi, Georgia

To: სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო ს.კ 205306293

From: **Orient Logic LTD (ID 202052054)**
Davit Tsikoridze; +995599311939; Davit.tsikoridze@ol.ge

Subject: **Riello**
Warranty: 2-year Standart Manufacturer Warranty in Authorized Service Centre

Payment terms: 100% in advance
Beneficiary's Bank: სს "ბაზის ბანკი" CBASGE22 GE96BS0000000005936872
Validity of Invoice: 3 days
Date: 5/30/2017

Proforma Invoice: 20170530/DTS/01

N	Product / Service	Specification	Unit Price GEL	Q-ty	Price GEL	Delivery
1	**AIPG800IRU**	IPG 800 800VA 480W / 173V - 276V / 5 min - 316 W / 2 Years warranty / USB Port / PowerShield Software / Battery runtime protected sockets 3* Shuko + 2* IEC 320 13 , Surge protected sockets for powering 3* Shuko	190.00 ₾	10	1,900.00 ₾	**Stock**

Total Price incl. VAT: 1,900.00 ₾

Signature:

Stamp: ORIENT LOGIC LTD GEORGIA TBILISI RN 202052054